საჯარო სამართლის იურიდიული პირი შემოსავლების სამსახური

ქ. თბილისი **21 ნოემბერი 2023 წელი**

„სატენდერო და საკონკურსო კომისიისა და სატენდერო და საკონკურსო კომისიის აპარატის შექმნის შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2023 წლის 12 ივლისის N 16858 ბრძანებით შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი №1

3 (სამი) ერთეული სატვირთო ავტომობილების სასწორის (CPV42923200 - სასწორები) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოსაცხადებელი ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:
მიხეილ ახვლედიანი - სსიპ შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:
ზვიად პაპიძე - სსიპ შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

სატენდერო კომისიის წევრები:
ლაშა სხიერელი - სსიპ შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
დიმიტრი მუჯირი - ფინანსური დეპარტამენტის ინფრასტუქტურის განვითარების სამმართველოს უფროსი;
გიორგი ყენია - სსიპ შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი;
ნოე მამულაშვილი - სსიპ შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის საფინანსო-საბიუჯეტო სამმართველოს უფროსი;
გივი ცქვიტინიძე - ფინანსური დეპარტამენტის ლოჯისტიკისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი;

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი:
სოფიო ბრეგვაძე - სსიპ შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი.

დღის წესრიგი:
3 (სამი) ერთეული სატვირთო ავტომობილების სასწორის (CPV42923200 - სასწორები) შესყიდვის ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცება.

მოისმინეს:
სატენდერო კომისიის აპარატის წევრმა სოფიო ბრეგვაძემ, სატენდერო კომისიის დამსწრე წევრებს, სხდომაზე დასამტკიცებლად წარუდგინა, **3 (სამი) ერთეული სატვირთო ავტომობილების სასწორის (CPV42923200 - სასწორები)** სახელმწიფო შესყიდვის აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი. ასევე, საბაჟო დეპარტამენტის 16/06/2022 N 57846-21-10 მოთხოვნის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დავალება და გახორციელებული ბაზრის კვლევის შედეგები (სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს N 118724-21-02 მოხსენებითი ბარათი).

ბაზრის კვლევის შედეგად დაინტერესებული პრეტენდენტი N1-ის შემოთავაზება - 291 000.00 ლარი; პრეტენდენტი N2-ის შემოთავაზება - 453 000.00 ლარი;

განიხილეს:
სატენდერო კომისიის დამსწრე წევრები გაეცნენ სატენდერო კომისიის აპარატის მიწოდებულ ინფორმაციას და განიხილეს წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

სატენდერო კომისიის დამსწრე წევრებმა ყურადღება გაამახვილეს შემდეგზე:

- შესყიდვის საშუალებად განისაზღვროს **ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე (NAT).** ტენდერი გამოცხადდეს არაუმეტეს სამი სამუშაო დღის განმავლობაში;
- შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვროს - **291 000.00 (ორას ოთხმოცდათრთმეტი ათასი ლარი და 00 თეთრი) ლარი** (დღგ-ს გათვალისწინებით);
- შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადად განისაზღვროს - ხელშეკრულების გაფორმებიდან 100 (ასი) კალენდარული დღე;

- შესყიდვის ობიექტის საგარანტიო ვადად განისაზღვროს მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არანაკლებ 2 (ორი) წელი.
- შესყიდვის დაფინანსების წყაროდ განისაზღვროს - 2024 წლის სსიპ - შემოსავლების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების საფასურიდან მიღებული სახსრები.

არსებული ინფორმაციის ანალიზი ადასტურებს, რომ ბაზარზე ოპერირებს მიმწოდებელთა საკმარისი რაოდენობა, რომელთაც აქვთ შესაძლებლობა ტენდერში მონაწილეობის სურვილის შემთხვევაში დააკმაყოფილონ სატენდერო დოკუმენტაციით დაწესებული მოთხოვნები.

სატენდერო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრები ერთხმად დაეთანხმა ზემოაღნიშნულ პირობებს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს თანდართული დოკუმენტაციის მიხედვით ელექტრონული ტენდერის გამოცხადება.

კომისიამ დაადგინა:

1. სატენდერო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრების მიერ გამოთქმული წინადადებების გათვალისწინებით დამტკიცდეს, **3 (სამი) ერთეული სატვირთო ავტომობილების სასწორის (CPV42923200 -სასწორები)** სახელმწიფო შესყიდვის მიზნით ჩასატარებელი ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაცია და სატენდერო განცხადების პროექტი წინამდებარე ოქმზე თანდართული დანართი N1-ის შესაბამისად;
2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს, არაუგვიანეს სამი სამუშაო დღის განმავლობაში უზრუნველყოს ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე (NAT) გამოცხადება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით;

კომისიის თავმჯდომარე: მიხეილ ახვლედიანი ----------

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ზვიად პაპიძე----------

სატენდერო კომისიის წევრები:

ლაშა სხიერელი----------

ნოე მამულაშვილი ----------

დიმიტრი მუჯირი ----------

გივი ცქვიტინიძე ----------

გიორგი ყენია----------

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი: სოფიო ბრეგვაძე ----------

LEPL REVENUE SERVICE

Digitally signed by LEPL REVENUE SERVICE
Date: 2023.11.21 19:02:27 +04'00'

შესყიდვა დასრულდება ძირითად დროში. დამატებითი რაუნდები არ გაიმართება

შესყიდვის ტიპი	ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე(NAT)
განცხადების ნომერი	N/A
შესყიდვის სტატუსი	განცხადების პროექტი
შემსყიდველი	შემოსავლების სამსახური
შესყიდვის გამოცხადების თარიღი	
წინადადებების მიღება იწყება	27.11.2023 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	30.11.2023 12:00
დაფინანსება	2024 წლის სახსრები
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	291`000.00 GEL
წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით

დაამატე რჩეულებში

კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი

- 42900000 - სხვადასხვა ზოგადი და სპეციალური დანიშნულების მანქანა-დანადგარები

კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი

- 42923200 - სასწორები

შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაცია
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	2`910.00 GEL
გარანტიის ოდენობა	2`910 GEL
გარანტიის მოქმედების ვადა	160 დღე
დამატებითი ინფორმაცია	

▽ შესყიდვის ობიექტის აღწერასთან დაკავშირებული ინფორმაცია

1.1 მიუთითეთ შესყიდვის ობიექტის დასახელება

3 (სამი) ერთეული სატვირთო ავტომობილების სასწორი (მონტაჟით და სრული გამართვით)

1.2 მიუთითეთ საქონლის/მომსახურების/სამუშაოს აღწერა (ტექნიკური დავალება), შესყიდვის ობიექტის რაოდენობა/მოცულობა

3 (სამი) ერთეული სატვირთო ავტომობილების სასწორი (მონტაჟით და სრული გამართვით)

საავტომობილო ელექტრონული სასწორი

მაქსიმალური დასაშვები წონა – არანაკლებ 60 ტ.

მინიმალური აწონვის დიაპაზონი – 400კგ.

დისკრეტულობა - არაუმეტეს 50 კგ.

პლატფორმის ზომა -(არანაკლებ) 3 X 18 მ.

პლატფორმის მასალა - ფოლადი

სამუშაო ტემპერატურული დიაპაზონი _ -10°C ... +50°C

სასწორი უნდა იყოს სატრანსპორტო საშუალების, როგორც მთლიანი, ისე

ღერძულა დატვირთვის აწონვის ფუნქციის მქონე.

პროგრამული უზრუნველყოფა

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს აღნიშნული სასწორიდან აწონვის მონაცემთა

გადაცემა ინტერნეტის მეშვეობით, ონლაინ რეჟიმში oracle-ს მონაცემთა ბაზის WEB

სერვისის რეკვიზიტების შესაბამისად (მისამართი, მეთოდის დასახელება, მომხმარებლის

იდენტიფიკატორი და პაროლი);

საბაჟო გამშვებ პუნქტებზე ინტერნეტ-კავშირის გაწყვეტის შემთხვევაში პროგრამას უნდა

შეეძლოს ავტომანქანის აწონვა ლოკალურ რეჟიმში, ხოლო კავშირის აღდგენის შემდეგ,

აწონვის მონაცემთა პარამეტრების გადაგზავნა სერვერზე.

სერვერზე გადასაგზავნი პარამეტრების ჩამონათვალი:

ა) საბაჟოს დასახელება

ბ) აწონვის რიგითი ნომერი

გ) აწონვის თარიღი

დ) აწონვის დრო

ე) ავტომანქანის მარკა

ვ) ავტომანქანის ნომერი

ზ) ავტომანქანის მისაბმელის ნომერი

თ) ავტომანქანის ლუქის ნომერი

ი) კონტეინერის ნომერი

კ) მძიმეწონიანი სატვირთო მანქანის თითეული ღერძის წონა

ლ) მძიმეწონიანი სატვირთო მანქანის სრული წონა

შენიშვნა: სასწორის მიწოდების და სრულად გამართვისთანავე მიმწოდებელმა უნდა განხორციელოს დამონტაჟებული სასწორის დამოწმება საქართველოში მოქმედი სტანდარტების შესაბამისად და წარმოადგინოს შესაბამისი დამოწმების მოწმობა. ამასთან, პრენტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას დამონტაჟებული სასწორის, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაზომვის საშუალებების სახელმწიფო რეესტრში სასწორის დარეგისტრირების სერთიფიკატი.

სატენდერო დოკუმენტაციის 1.5 პუნქტში მოცემულ ლოკაციებზე სასწორების მონტაჟისთვის მოწყობოლია მიწისზედა და მიწისქვეშა საძირკველები (იხილეთ თანდართული ნახაზები) აღნიშნულიდან გამომდინარე შემოთავაზებული სასწორები უნდა შეესაბამებოდეს უკვე მოწყობილი საძირველების ზომებს. მოწყობილი საძირკვლების ზომები მოცემულია თანდართულ ნახაზებში.

მიწისზედა სასწორის ვარიანტი.pdf

მიწისქვეშა სასწორის საძირკველი.pdf

1.3 ატვირთეთ ფასების ცხრილი/ხარჯთაღრიცხვა

დანართი N1.xlsx

1.4 მიუთითეთ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადა

ხელშეკრულების გაფორმებიდან 100 (ასი) კალენდარული დღის განმავლობაში

1.5 მიუთითეთ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ფორმა და ადგილი

1) საბაჟო გამშვები პუნქტი ,,ყაზბეგი" -ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, დარიალის ხეობა;

2) საბაჟო გამშვები პუნქტი ,,წითელი ხიდი"- მარნეული მუნიციპალიტეტი, სოფელი კირაჩმუღანლო;

3) საბაჟო გამშვები პუნქტი "სარფი"- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი სარფი;

1.7 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია საგარანტიო ვადის შესახებ?

კი

1.7.1 მიუთითეთ საგარანტიო ვადასთან დაკავშირებული მოთხოვნები

შესყიდვის ობიექტზე უნდა ვრცელდებოდეს გარანტია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არანაკლებ 2 წელი.

საგარანტიო პერიოდში, კალიბრაციასთან და/ან სხვა ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე, უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა შემდეგ ვადებში - ხარვეზის დადგენა - არაუმეტეს 24 საათი, ხარვეზის აღმოფხვრა - არაუმეტეს 48 საათი, დეფიციტური დეტალის დაზიანების შემთხვევაში, ახალი დეტალის მიწოდება - არაუმეტეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღე. საგარანტიო პერიოდში შესაძლებელი უნდა იყოს კონსულტაციის მიღება 24/7 რეჟიმში. გარანტია ვრცელდება ყველა გარემოებაზე გარდა იმ შემთხვევისა, თუ ასეთი ხარვეზი გამოწვეულია სასწორის მექანიკური დაზიანებით.

ტექნიკური მოთხოვნები

2.1 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის სასაქონლო ნიშნის, პატენტის, მოდელის, წარმოშობის წყაროს ან/და მწარმოებლის შესახებ?

კი

2.1.1 მიუთითეთ, თუ რა ინფორმაცია მოითხოვება შესყიდვის ობიექტის სასაქონლო ნიშანთან, პატენტთან, მოდელთან, წარმოშობის წყაროსთან ან/და მწარმოებელთან დაკავშირებით

მისაწოდებელი საქონლის - მწარმოებელი კომპანიის, წარმოშობის ქვეყნის და მოდელის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ფასების ცხრილის დანართი N1-ს შესაბამისად.

პრეტენდენტის მიერ აღნიშნული ინფორმაციის წარმოუდგენლობა დაზუსტებას არ დაექვემდებარება და გამოიწვევს მის დისკვალიფიკაციას.

2.2 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ?

არა

2.3 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ?

არა

2.4 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის პერსონალის გამოცდილების შესახებ?

არა

2.5 მოითხოვება თუ არა დეტალური ინფორმაცია საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადების შესახებ (გეგმა-გრაფიკი)?

არა

2.6 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის ფინანსური შესაძლებლობების შესახებ (გარდა სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემებისა)?

არა

2.7 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია ლიცენზიასთან, აკრედიტაციასთან, სტანდარტებთან, ხარისხის შესაბამისობასთან და სხვ. დოკუმენტებთან დაკავშირებით?

კი

2.7.1 მიუთითეთ ლიცენზიასთან, სტანდარტებთან, აკრედიტაციასთან, ხარისხის შესაბამისობასთან და სხვ. დოკუმენტებთან დაკავშირებული მოთხოვნები

პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შესყიდვის ობიექტის მწარმოებლი კომპანიის მიერ გაცემული ტექნიკური პარამეტრების ამსახველი დოკუმენტი საიდანაც დადასტურდება შემოთავაზებული საქონლის შესაბამისობა სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N1-ში მოცემულ მახასიათებლებთან. (ქართულ ენაზე ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული)

2.8 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია ქვეკონტრაქტორის შესახებ?

არა

2.9 სხვა დამატებითი მოთხოვნები (ველის შევსება არ არის სავალდებულო)

1.შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი ყველა დოკუმენტი და/ან ინფორმაცია პრეტენდენტის მიერ ატვირთული უნდა იქნას ერთიან ელექტრონულ სისტემაში, ამასთან შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, მოთხოვნის შესაბამისად პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს იმ მოთხოვნილი დოკუმენტების დედანი ან/და ნოტარიულად დამოწმებული ასლ(ებ)ი, რომელიც იყო ატვირთული ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

2. ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენისას პრეტენდენტის მიერ გათვალისწინებული უნდა იყოს (არ უნდა იყოს დარღვეული) სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული დანართების ფორმები (მათ შორის ნუმერაცია) და არსებობის შემთხვევაში მათში მითითებული აუცილებელი პირობები.

3. თუ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასიდან გამომდინარე ერთეულის ღირებულებები დაჯდება მრავალნიშნა ათწილადი, პრეტენდენტი ვალდებულია ერთეულის ღირებულებები შეამციროს და დაამრგვალოს მეასედებამდე, შესაბამისად შეამციროს საერთო ღირებულებაც.

4. სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია და დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე.

5. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

6.სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახულ უნდა იყოს ყველა ხარჯის გათვალისწინებით, როგორიცაა: ტრანსპორტირების ხარჯები და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები, თუ მოსაკრებლები (მათ შორის - დღგ).

7.სატენდერო წინადადების საერთო და თითოეული ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში - ლარი.

8.პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული დოკუმენტები„„ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად უნდა იყოს კვალიფიციური ელექტრონული შტამპით ან კვალიფიცური ელექტორნული ხელმოწერით დამოწმებული.

9. შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, მოთხოვნის შესაბამისად პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს იმ მოთხოვნილი დოკუმენტების დედანი ან/და ნოტარიულად დამოწმებული ასლ(ებ)ი, რომელიც იყო ატვირთული ერთიან ელექტრონულ სისტემაში;

შესყიდვის ობიექტის ნიმუში ან/და ექსპერტიზის დასკვნა

3.1 მოითხოვება თუ არა ნიმუშის ან/და ნიმუშის ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენა?

არა

ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი

4.1 მოითხოვება თუ არა სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით საბოლოო ფასის 20%-ით ან მეტით კლების შემთხვევაში ფასწარმოქმნის ადეკვატურობა?

კი

4.1.1 მიუთითეთ, კონკრეტულად თუ რა დოკუმენტ(ებ)ით უნდა დაასაბუთოს პრეტენდენტმა ფასწარმოქმნის ადეკვატურობა

4.1.1.1 იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით, ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ წესის 28-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად საშემფასებლო ან აუდიტის ან ექსპერტიზის დასკვნა. დასკვნასთან ერთად ასევე, წარმოდგენილი უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის (როგორც დასკვნის გამცემი კომპანია ასევე დასკვნაზე ხელმომწერი პირები)

შესაბამისი უფლებამოსილების/აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი.

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" მიერ გაცემული დასკვნის შემთხვევაში, დასკვნის გამცემი პირის (როგორც დასკვნის გამცემი კომპანია ასევე დასკვნაზე ხელმომწერი პირები) შესაბამისი უფლებამოსილების/აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა არ მოითხოვება.

4.1.1.2 ექსპერტიზის დასკვნის წარმოუდგენლობა ან/და უარყოფითი დასკვნის წარმოდგენა გამოიწვევს შესაბამისი პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებაზე ვრცელდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების მე-18 მუხლის მე-6, მე-7 პუნქტებისა და 28-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტებით განსაზღვრული წესები.

4.1.2 მიუთითეთ ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის წარმოდგენის ვადა

მოთხოვნიდან 3 სამუშაო დღის ვადაში

სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი

5.1 მოითხოვება თუ არა პრეტენდენტის სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი?

არა

ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

6.1 მიუთითეთ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის ოდენობა - (2 %-დან 5 %-ის ჩათვლით)

5 პროცენტი

ჩაწერა

6.2 მიუთითეთ სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით საბოლოო ფასის 20%-ით ან მეტით კლების შემთხვევაში გარანტიის ოდენობა - (2 %-დან 10 %-ის ჩათვლით)

10 პროცენტი

ჩაწერა

6.3 მიუთითეთ გარანტიის მოქმედების ვადა

ხელშეკრულების უზრუნველყოფის უპირობო და გამოუთხოვადი საბანკო ან სადაზღვევო გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 60 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს საქონლის მიწოდების ვადას.

6.4 მიუთითეთ გარანტიის პირობები

- მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო ან სადაზღვეო დაწესებულების მიერ გაცემული გარანტია უნდა იყოს უპირობო და გამოუთხოვადი, ე.ი. გარანტიით გათვალისწინებული თანხები შემსყიდველმა უნდა მიიღოს ყოველგვარი დამატებითი მტკიცებულების წარდგენის გარეშე, პირველი მოთხოვნისთანავე.
- ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა არანაკლებ 60 (სამოცი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს საქონლის მიწოდების ვადას.
- ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებებიდან, ან სსიპ "საქართველოს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახური"-ს მიერ ლიცენზირებული

სადაზღვეო კომპანიებიდან, ასევე შესაძლებელია აღნიშნული გარანტია წარმოდგენილი იქნეს „არარეზიდენტი“ საბანკო ან სადაზღვევო კომპანიიდან, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებებიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში;

- ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო ან სადაზღვეო დაწესებულების მიერ გაცემული გარანტიაში მითითებული უნდა იყოს აღნიშნულ შესყიდვასთან დაკავშირებით ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსებული განცხადების ნომერი და პრეტენდენტის საიდენტიფიკაციო კოდი;

- ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით წარმოდგენილი საბანკო ან სადაზღვეო დაწესებულების მიერ გაცემული გარანტია გამოიყენება მიმწოდებლის მიერ ვალდებულების დარღვევის გამო შესაბამისი პირგასამტეხლოს, საჯარიმო სანქციების ან/და ზიანის ანაზღაურების მიზნით;

- მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულების შემდეგ, ან მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველმა მიმწოდებელს უნდა დაუბრუნოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო ან სადაზღვეო დაწესებულების მიერ გაცემული გარანტია.

ასევე შესაძლებელია აღნიშნული გარანტია წარმოდგენილი იქნეს უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულებიდან, რომელიც გადაზღვეული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ.

ანგარიშსწორების პირობები

7.1 გამოიყენება თუ არა წინასწარი ანგარიშსწორება?

არა

7.2 მიუთითეთ ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების პირობები

სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის ადგილზე მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

- ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარისწორებით ლარში.

7.3 მიუთითეთ ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების ვადები(სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციაა ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღე)

ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში, როგორც მთლიანად ასევე ეტაპობრივად მოწოდებული საქონლის (მონტაჟით და სრული გამართვით) შესაბამისად გაფორმებული ინსპექტირების დასკვნის, მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში

ხელშეკრულების პროექტი

8.1 ატვირთეთ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულების პროექტი.pdf

საკონტაქტო პირის შესახებ ინფორმაცია

9.1 მიუთითეთ სატენდერო კომისიის აპარატის საკონტაქტო წევრის ვინაობა და მონაცემები

სოფიო ბრეგვაძე, 599431000, s.bregvadze@rs.ge

დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები

10.1 დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები (ველის შევსება არ არის სავალდებულო)

სატენდერო პირობების დამტკიცების შესახებ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი

11.1 ატვირთეთ სატენდერო პირობების დამტკიცების შესახებ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი